



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 105

2018 წლის 4 დეკემბერი



ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 26 ნოემბრის № 100 განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეიტანა ცვლილება და საპრივატიზებო ნუსხას დაემატა ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალები. ნუსხის დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს აღნიშნული სამშენებლო მასალების პრივატიზება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას. გამომდინარე აქედან და “მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნას „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზაციის გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის ორ ფურცლად).
2. პრივატიზაციის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს შპს „აუდიტი +“-ის მიერ 2018 წლის 9 აგვისტოს მომზადებული დასკვნის გათვალისწინებით.
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზაციის გეგმა

დასახელება: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალები

№	მასალების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	ტრიბუნების იარუსების ანაკრები ბი რკინაბეტონის ფილა (Γ-მაგვარი) 350*0,75	კუბ.მ.	262.5
2	ანაკრები რკინაბეტონის გადახურვის წიბოვანი ფილა (ჰკჟ 6*1,5მ) 8 ცალი	კვ.მ.	72
3	სხვადასხვა ზომის და სახეობის ანაკრები რკინა-ბეტონის გადახურვის ფილები (70 ცალი)	კვ.მ.	460
4	24 ლითონის ორტესებრი კოჭი	გრძ.მ.	24
5	ლითონის მოაჯირი სიმაღლით 1,1-1,4მ (190 გრძ.მ)	კვ.მ.	247
6	ლითონის დგარები და დეკორატიული სექციური ღობე სიმაღლით 2,3მ (314გრძ.მ)	კვ.მ.	722
7	ლითონის დგარები და მავთულბადით მოწყობილი ღობე სიმაღლით 2,2მ(112 გრძ.მ)	კვ.მ.	246
8	ლითონის დგარები და მავთულბადით მოწყობილი ღობე სიმაღლით 3,5მ(104 გრძ.მ)	კვ.მ.	364
9	ჯართი (ლითონის ტაბლო და სხვა	ტონა	2,5

მდებარეობა: ხაშური, წმინდა ნინოს ქუჩა № 1 საკადასტრო კოდი 69.08.53.023 ფართობი საწყისი საპრივატიზებო საფასური: 88 000 (ოთხმოცდარვა ათასი) ლარი.

აუქციონის ფორმა: დემონტაჟის პირობებიანი ელექტრონული აუქციონი.

გამარჯვებული ვალდებულია შეასრულოს შემდეგი პირობები:

1. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მოიპოვოს სადემონტაჟო სამუშაოების ნებართვა და უზრუნველყოს ხაშურში, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ში

მდებარე 69.08.53.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟი თანდართული პროექტის შესაბამისად და დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის განმავლობაში.

2. დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები.
3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურება განხორციელდება, მყიდველის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი უფლების მქონე აუდიტორის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

აუქციონის შემდგომ საფასურის გადახდის პერიოდი: ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე.